

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭოს  
2011 წლის 17 ივნისის  
დადგენილება № 486

აკადემიური საბჭოს 2011 წლის 14 აპრილის  
№433 დადგენილების ნაწილობრივი  
ცვლილებისა და დოქტორის აკადემიური  
ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს  
დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ნაწილობრივ შეიცვალოს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 14 აპრილის №433 დადგენილების 1-ლ პუნქტში მოცემული, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სქემა ქვემოთ მოყვანილი დანართის შესაბამისად.
2. შეიცვალოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს დებულების დანართი – სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სქემა და დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი).
3. შეიცვალოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს დებულების მე-5 მუხლის 8, 11, 16, 21 პუნქტები, მე-6 მუხლის 3 პუნქტი, მე-8 მუხლის 9, 10 პუნქტები და მე-15 მუხლი, ისინი იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით:

”5.8.ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სწავლების დეპარტამენტში წარადგენს მოხსენებით ბარათს სადისერტაციო საბჭოს მიერ შესაბამის პროგრამებზე ვაკანტური ადგილების გამოყოფისა და დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატთა განცხადებების შემსწავლელი საფაკულტეტო დროებითი კომისიის/კომისიების (შემდგომში - საფაკულტეტო დროებითი კომისია) შემადგენლობის დამტკიცების თხოვნით;”

”5.11. აკადემიური საბჭო განიხილავს და ამტკიცებს არსებულ სადოქტორო პროგრამებზე მოთხოვნილ ვაკანსიებს და საფაკულტეტო დროებითი კომისიების შემადგენლობებს; დამტკიცებული სადოქტორო პროგრამების და ვაკანსიების ნუსხა განთავსდება სტუ-ს ვებგვერდზე ;”

“5.16. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა სტუ-ს რექტორის სახელზე უნდა წარადგინოს:

- 5.16.1. განცხადება ფაკულტეტის, სადოქტორო პროგრამის და სამეცნიერო ხელმძღვანელის მითითებით;
- 5.16.2. მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ;
- 5.16.2. სათანადო აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი და მისი ასლი;
- 5.16.4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მისი ასლი;
- 5.16.5. სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელების რეკომენდაცია;

5.16.6. 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4 (სმ);

5.16.7. მიწერის მოწმობა ან სამხედრო ბილეთი და მისი ასლი (სამხედრო ვალდებულებისათვის).”

“5.21. საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმში დოქტორანტურაში ჩასარიცხ თითოეულ კანდიდატზე უნდა მიეთითოს:

5.21.1. გვარი, სახელი, მამის სახელი,

5.21.2. დაბადების თარიღი,

5.21.3. განათლება,

5.21.4. მონაცემები კვლევითი საქმიანობის შესახებ,

5.21.5. სადოქტორო პროგრამის დასახელება,

5.21.6. სამეცნიერო ხელმძღვანელის (ხელმძღვანელების) აკადემიური თანამდებობა, გვარი და სახელი,

5.21.7. დასაბუთებული გადაწყვეტილება კანდიდატის დოქტორანტურაში ჩასარიცხად რეკომენდაციის მიცემის ან უარის შესახებ.

”6.3. 120 კრედიტი ეთმობა კვლევით კომპონენტს, რაც მოიცავს:

6.3.1. სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას, თემის აქტუალობის დასაბუთებას, გადასაჭრელი ამოცანების ჩამოყალიბებას - 15 კრედიტი;

6.3.2. თეორიულ და/ან ექსპერიმენტულ კვლევას - 75 კრედიტი;

6.3.3. დისერტაციის დასრულება და დაცვას - 30 კრედიტი;”

”8.9. დოქტორანტებს, რომლებიც გეგმურ ვადაში არ წარმოადგენენ სადისერტაციო ნაშრომს დასაცავად, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით დამატებითი სემესტრის/სემესტრების აღებისას, შესაბამისად დაეკისრებათ სემესტრის/სემესტრების მთლიანი საფასურის გადახდა;”

”8.10. დოქტორანტს, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის გეგმურ ვადაში ან, დამატებითი სემესტრების განმავლობაში სწავლის გაგრძელებისას, არ წარადგენს დისერტაციას დასაცავად, დეკანის წარდგინებით შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.”

### **„15. მობილობა დოქტორანტურაში**

15.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მობილობის უფლება დოქტორანტს ეძლევა სწავლების პირველი წლის დამთავრების შემდეგ, კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) მიერ დადგენილ ვადებში.

15.2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე, აკადემიური საბჭო ამტკიცებს მობილობით მისაღები ვაკანტური ადგილების რაოდენობას შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

15.3. სტუ-ს სწავლების დეპარტამენტი ელექტრონულად არეგისტრირებს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი ვაკანტური ადგილების რაოდენობას ცენტრის პორტალზე ([www.ege.ge](http://www.ege.ge)), მის მიერ შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში.

15.4. მობილობის მსურველის სტატუსს სტუდენტი მოიპოვებს ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციით ცენტრის მიერ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში.

15.5. ცენტრი ვებგვერდზე აქვეყნებს ჩასარიცხ კანდიდატთა სიას, რის შემდეგაც მობილობის მსურველი უფლებამოსილია, განცხადებით მიმართოს სტუ-ს ჩარიცხვის თაობაზე. მობილობის მსურველი, რომელიც სტუ-ს მიერ დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით სტუ-ს ჩარიცხვის თაობაზე, კარგავს აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

15.6. მობილობით ჩარიცხვის წინა პირობა არის:

- მობილობის მსურველის სადოქტორო პროგრამის შესაბამისობა სტუ-ს სადოქტორო პროგრამასთან;
- მობილობის მსურველის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაცია.
- სადოქტორო პროგრამაზე კონკურსის დროს მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციები, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საბუთები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ).

15.7. რექტორის სახელზე განცხადებასთან ერთად, მობილობის მსურველმა უნდა წარმოადინოს შემდეგი საბუთები:

1. სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაცია,
2. უსდ-ში ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით,
3. მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ,
4. პირადობის მოწმობის ასლი,
5. 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4 (სმ),
6. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი), დამოწმებული ბეჭდით,
7. დიპლომის ასლი,
8. ვაჟებმა – მიწერის მოწმობის ან სამხედრო ბილეთის ასლი.

15.8. სადოქტორო პროგრამების შესაბამისობას, მობილობის მსურველის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას არჩეულ სადოქტორო პროგრამასთან და შესაბამისი კრედიტების აღიარებას, აგრეთვე ასათვისებელი კრედიტების რაოდენობას ადგენს ფაკულტეტის დეკანის მიერ შექმნილი კომისია, რომელშიც უნდა შევიდეს დეკანატისა და სადისერტაციო საბჭოს წარმომადგენლები და თემის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი.

15.9. ფაკულტეტის დეკანატი სტუდენტის პირად საქმეს, შედარების აქტს და კომისიის ოქმს წარუდგენს სწავლების დეპარტამენტს.

15.10. სწავლების დეპარტამენტი, მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, შეიმუშავებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის პროექტს დოქტორანტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ და დეკანატის მიერ დოქტორანტის საბუთების დამოწმებულ ქსეროასლებთან ერთად, აგზავნის ცენტრში არსებული წესის თანახმად, ცენტრის მიერ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში. ცენტრის მიერ დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნისას, მობილობის მსურველი ვალდებულია დროულად უზრუნველყოს მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენა.

15.11. ბრძანების პროექტზე ცენტრის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიცემა

ბრძანება დოქტორანტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ და სწავლების დეპარტამენტი უზრუნველყოფს მის განთავსებას სტუ-ს ვებგვერდზე.

15.12. ბრძანების გამოცემის შემდეგ, სწავლების დეპარტამენტი ამზადებს წერილს დოქტორანტის პირადი საქმის და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ მოთხოვნით, იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში წარსადგენად, საიდანაც მობილობის მსურველი გადმოდის.

15.13. ბრძანება გამოცემიდან 7 დღის ვადაში იგზავნება ცენტრში და შესაბამისი სტუდენტის მობილობა აისახება აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების რეესტრში.

15.14. დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დოქტორანტმა უნდა გააფორმოს სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებები.

15.15. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში არ წარმოადგენს საბუთებს და არ გაივლის რეგისტრაციას, ბრძანება მისი ჩარიცხვის შესახებ გაფრთხილების გარეშე ბათილად იქნება ცნობილი.“

15.16. დოქტორანტურაში შიდა მობილობა ტარდება “სტუ-ში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის“ შესაბამისად;

4. ამოღებულ იქნეს პუნქტები 5.7, 5.10 და მუხლი 16.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

**ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი

**გ. სალუქვაძე**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სქემა

№	საგნის კოდი	სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტები	I წელი		II წელი		III წელი		სულ, კრედიტები
			I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	
1.		უცხოური ენის სპეცკურსი	10	5					15
2.		სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებული სპეცკურსი	10	5					15
3.	-	ლიტერატურის – საინფორმაციო წყაროების მიმოხილვა, აქტუალობის დასაბუთება, მიზნის და ამოცანების ჩამოყალიბება	10	5					15
4.	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა		15	15	30	15		75
5.	-	თემატური სემინარი №1			15				30
6.	-	თემატური სემინარი №2					15		
7.	-	დისერტაციის დასრულება და დაცვა						30	30
ECTS კრედიტები		სემესტრში	30	30	30	30	30	30	180
		სასწავლო წელს	60		60		60		180